დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 08
19/07/2019

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,მაგთიკომისათვის'' ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' შენობის სახურავზე ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტის, 26-ე მუხლის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 15 ივლისის №07/2812 წერილისა და შპს ,,აუდიტორული ფირმა საპიენტი სატი-777''-ს 2019 წლის 10 ივლისის №1-10.07/19 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს შპს ,,მაგთიკომს'' (ს/კ 204876606) , დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა №56-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4538,00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის'' შენობის (ს/კ 82.01.46.081) სახურავზე 3,00 კვ.მ ფართი, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 5(ხუთი) წლის ვადით და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 300,00 (სამასი) ლარი თვეში (3600 ლარი წელიწადში).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე